

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი




შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და
სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია

*Regulation of Industrial (labor) Safety,
Accident Prevention (safety measures) and Fire Safety*

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – შორეული ნაოსნობის კაპიტანი ედუარდ ჟუკ-ტრიპოლიტოვის მიერ და შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის ბადრი დოლონაძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2018 წლის 23 მარტის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N7);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა არსებული ინსტრუქციის შედეგების ან ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების ცვლილებებისას, რომლის საფუძველზეც შემუშავდა არსებული ინსტრუქცია.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი




შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და
სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია

*Regulation of Industrial (labor) Safety,
Accident Prevention (safety measures) and Fire Safety*

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. გავრცელების სფერო	5
2. მითითებები	5
3. ტერმინები განმარტებები, შემოკლებები	5
4. ზოგადი დებულება	5
5. შრომის დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქცია.....	6
6. შპს ბუსსს ანრის ტერიტორიაზე მოქცევის წესები	6
7. პირველადი დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია	6
7.1 უბედური შემთხვევის დროს პირველადი დახმარების აღმოჩენა	6
7.2 პირველადი დახმარების აღმოჩენა ჭრილობის დროს	6
7.3 პირველადი დახმარების აღმოჩენა სისხლდენის დროს	7
7.4 პირველადი დახმარება მოწამვლის დროს	7
7.5 პირველადი დახმარება დამწვრობისას	8
7.6 ხელოვნური სუნთქვის მეთოდები	8
8. სახანძრო უსაფრთხოების წესები საგანმანათლებლო დაწესებულებაში	8
9. სახანძრო უსაფრთხოების წვრთნები	9
10. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა	10
11. კონფიდენციალურობა	11
12. პერიოდული შემოწმების ფურცელი	12
13. პერსონალის ინსტრუქციასთან გაცნობის ფურცელი	13
14. შეთანხმების ფურცელი	16

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და
სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია

*Regulation of Industrial (labor) Safety,
Accident Prevention (safety measures) and Fire Safety*

1. გავრცელების სფერო

1. წინამდებარე ინსტრუქცია ადგენს შპს ბუსსს ანრიში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სახანძრო უსაფრთხოების საერთო წესებს, რომელთა დაცვა აუცილებელია მუშაობის პროცესში;
2. არსებული ინსტრუქცია ვრცელდება და წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს შპს ბუსსს ანრის ყველა თანამშრომელზე;
3. არსებული ინსტრუქციის აღრიცხული ეგზემპლირები ინახება:
 - შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში;
 - ელ.ვერსიები განთავსებულია სასწავლებლის სიდა ქსელსი და ვებგვერდზე
4. არსებული ინსტრუქციის დასაგზავნი ეგზემპლირების მომზადება და დაგზავნა ხდება შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

2. ნორმატიული მითითებები

1. სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
2. სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
3. ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო
4. ნდ N2-010102 – შპს ბუსსს ანრის შინაგანაწესი
5. 2015 წლის 23 ივლისის საქართველოს მთავრობის დადგენილება №370 „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
6. საქართველოს კანონი „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“, ცვლილებებით
7. საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, ცვლილებებით

3. ტემინები, განმარტებები, შემოკლებები

არსებულ დებულებაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:

3.1 ტერმინები, განმარტებები

1. **ნორმატიული დოკუმენტი** - დოკუმენტი რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს გარკვეული მოდულოების სფეროსათვის.
2. **ცვლილება** – ნორმატიულ დოკუმენტში გარკვეული ცვლილების შეტანა დოკუმენტის მოდიფიკაციის თვალსაზრისით.
3. **პერიოდული შემოწმება** არის ქმედება, რომელიც ითვასწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას, მასში შესაძლო ცვლილების შეტანის მიზნით.
4. **ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური** – ბუსსს ანრის წესდების შესაბამისად მოქმედი სტრუქტურული ერთეული, რომლის დანიშნულებაც სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემატიური შეფასება, აგრეთვე ბუსსს ანრის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სრულყოფა, ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნების შესაბამისად.

3.2 შემოკლებები

1. **შპს ბუსსს ანრი (სასწავლებელი)** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი
2. **ხმს** - ხარისხის მართვის სისტემა
3. **ნდ** - ნორმატიული დოკუმენტი
4. **ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

4. ზოგადი დებულება

- 4.1 არსებული ინსტრუქცია განსაზღვრავს შპს ბუსსს ანრიში შრომის უსაფრთხოების დაცვას, უსაფრთხოების ტექნიკას, ანუ პირადი და სოციალური უსაფრთხოების დაცვას და სახანძრო უსაფრთხოების დაცვას.
- 4.2 არსებული ინსტრუქცია აუცილებლად ეცნობა შპს ბუსსს ანრის ყველა თანამშრომელი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და
სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია

Regulation of Industrial (labor) Safety,
Accident Prevention (safety measures) and Fire Safety

- 4.3 სასწავლებელში შრომის უსაფრთხოების დაცვაზე, უსაფრთხოების ტექნიკის, ანუ პირადი და სოციალური უსაფრთხოების დაცვაზე და სახანძრო უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელ პირად ინიშნება უსაფრთხოების მენეჯერი, რომლის უფლება-მოვალეობები გაიწერება ფუნქციონალურ მოვალეობებში.
- 4.4 უსაფრთხოების მენეჯერს ნიშნავს და ათავისუფლებს გენერალური დირექტორი, ბრძანების საფუძველზე.

5. შრომის დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქცია

- 5.1 შრომის დაცვა მოიცავს შრომის კანონმდებლობას, უსაფრთხოების ტექნიკასა და საწარმოო სანიტარიას.
- 5.2 უსაფრთხოების ტექნიკის დისციპლინის ყველა მოთხოვნის შესრულება წარმატებული მუშაობის საწინდარია. შრომის დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის სპეციფიკა თანამშრომლებისგან მოითხოვს ხელმძღვანელის მიერ გაცემული განკარგულების დროულ და ზუსტ შესრულებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხოების ტექნიკის ყველა მოთხოვნის ზუსტ შესრულებას.
- 5.3 უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და ინსტრუქციების დაცვა წარმოადგენს აუცილებელ პირობას სამუშაო პროცესში.
- 5.4 არსებულ ინსტრუქციას თან ერთვის შპს ბუსსს ანრის ძირითადი კორპუსის ევაკუაციის გეგმა და აქტი, რომელიც ადასტურებს, რომ შპს ბუსსს ანრი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარითა და მოწყობილობებით.

6. შპს ბუსსს ანრის ტერიტორიაზე მოქცევის წესები

- 6.1 შპს ბუსსს ანრის ტერიტორიაზე განსაკუთრებული ყურადღება უსაფრთხოების მხრივ უნდა მიენიჭოს ე.წ. „ხმელეთზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორს“, ასევე სამაქანე განყოფილების კლასს და საამქროებს.
- 6.2 აუცილებლად უნდა გათვალისწინებულ იქნას ტრენაჟორებთან მუშაობის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი.
- 6.3 შპს ბუსსს ანრის სასწავლო კორპუსის ყოველ სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და სახანძრო უსაფრთხოების ზომების ინსტრუქცია.

7. პირველადი დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია

7.1 უბედური შემთხვევის დროს პირველადი დახმარების აღმოჩენა


- 1) თუ დაზარალებული ეხება დენისგამტარ ნაწილებს, პირველ რიგში საჭიროა მისი ელ.დენის მოქმედებისგან განთავისუფლება, ამავდროულად თუ დაზარალებული იმყოფება სიმაღლეზე, უნდა მივიღოთ ზომები რომ ავიცილოთ მისი ჩამოვარდნა.
- 2) თუ ვერ ხერხდება ელ. ენერგიის (დენის) სასწრაფოდ გამორთვა, იმისათვის რომ დაზარალებულს მოვაცილოთ ელექტრობის (დენის) მავთულები, უნდა გამოვიყენოთ მშრალი ჯოხი ან ფიცარი, მშრალი ტანსაცმელი, ნაჭერი ან სხვა დენგამტარი ნითები/საგანი. ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია ლითონის საგნებით სარგებლობა.
- 3) არ შეიძლება დაზარალებულზე ფეხით შეხება (გადაადგილება), ვინაიდან შეიძლება თქვენი ფეხსაცმელი იყოს სველი (ნოტიო) ხოლო მასში მტოფი ლურსმანი თუ კაუჭი დენის გამტარია.
- 4) თუ სიტუაცია მოითხოვს დაზარალებულის ტანსაცმლის დაუფარავ სხეულის ნაწილზე ხელით შეხებას, აუცილებლად უნდა გაიკეთოთ რეზინის ხელთათმანები ან ხელზე შემოიხვიოთ დენგამტარი ქსოვილი და დადგეთ მშრალ ფიცარზე ან სხვა დენგამტარ საგანზე.
- 5) თუ დენი ადამიანის სხეულიდან გადის მიწაში და მას ხელში ჩაბლაუჭებული აქვს მავთული, მისი დენიდან განთავისუფლება უფრო მარტივია, მიწიდან მოშორებით, ვიდრე მისი ხელის გახსნის მცდელობა.
- 6) დაზარალებულისათვის დახმარების გაწევის დროს რეკომენდებულია ერთი ხელით მოქმედება.

7.2 პირველადი დახმარების აღმოჩენა ჭრილობის დროს

7.2.1 კანის სიმრთელის ან უფრო ღრმა ქსოვილების დაზიანებას, მექანიკური ზემოქმედების შედეგად, ეწოდება ჭრილობა. ყოველ ჭრილობას ახასიათებს ტკივილი და სისხლის დენა. ასეთი შემთხვევის დროს პირველი დახმარება მოიცავს შემდეგ ქმედებებს:

- 1) უპირველეს ყოვლისა აჩერებ სისხლდენას, რის შემდეგ ჭრილობა უნდა დამუშავდეს იოდით და განხორციელდეს მისი შეხვევა, რათა გამოირიცხოს ინფექციის შეღწევა. დაუშვებელია ჭრილობის წყლით ან სხვა ხსნარით განზავება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და
სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია

*Regulation of Industrial (labor) Safety,
Accident Prevention (safety measures) and Fire Safety*

- 2) ჭრილობის შესახვევად ყველაზე კარგი მასალაა ინდივიდუალური გადასახვევი პაკეტი, რომელიც შეიცავს სტერილიზებულ გადასახვევ მასალას. პაკეტის გახსნის დროს ხელით არ უნდა შევეხოთ იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ იდება ჭრილობაზე.
- 3) თუ არ გაგვაჩნია ინდივიდუალური პაკეტი, შეძლებისდაგვარად, უნდა გამოვიყენო სუფთა ბინტი, ცხვირსახოცი ან ახლად დაუთოვებული სუფთა ტილოს სახვევი.
- 4) სახვევის იმ ნაწილზე, რომელიც დაედება ჭრილობას, უნდა მოვასხათ იოდის ხსნარი, რომ მივიღოთ ჭრილობაზე უფრო დიდი ზომის ლაქა.

7.3 პირველადი დახმარების აღმოჩენა სისხლდენის დროს

7.3.1 სისხლდარღვის დაზიანების დროს გამოედინებასისხლი. იმისათვის, რომ შევაჩეროთ შისხლდენა აუცილებელია:

- 1) კიდურებიდან სისხლდენის დროს, კიდური უნდა აწეულ იქნას ზემოთ. სისხლდენი ჭრილობის შეხვევა უნდა განხორციელდეს გადასახვევი მასალით. თუ სისხლდენა შეჩერდა, ზემოდან კიდევ დავადოთ ბამბა და შევახვეოთ მაგარი ბინტით.
- 2) სისხლის დენა სწრაფად რომ შევაჩეროთ, ჭრილობის ზემოთ სისხლდარღვი თითებში უნდა მივაჭიროთ ძვალს. თუ სისხლდენა არტერიულია, დაუყოვნებლივ, კიდურის აწევის შემდეგ, სისხლდარღვი თითებში მივაჭიროთ ჭრილობას ზემოთ ნებისმიერ წერტილში. სისხლდარღვის ასეთი მეთოდით დიდხანს მიჭერა არ შეიძლება, ამიტომ სისხლდენი კიდური, ჭრილობის ზემოთ, უნდა გადაიჭიროს თასმით.
- 3) უნდა გახსოვდეთ, რომ თასმით გადაჭერა ორ საათზე მეტი დროით არ შეიძლება, რათა არ მოხდეს სისხლში უწოდებელი კიდურის კვდომა. თუ ორი საათის განმავლობაში არ იქნა გაწეული სამედიცინო დახმარება, თასმის მოჭერა უნდა შევასუსტოთ, რომ აღდგეს კიდურის სისხლით მომარაგება და შემდეგ თავიდან დავადოთ თასმა ძველი ადგილიდან ოდნავ მოცილებით.

7.4 პირველადი დახმარება მოწამვლის დროს

7.4.1 მოწამვლა შეიძლება გამოვლინდეს მძიმე ფორმაში, შხამის ორგანიზმში მოხვედრისთანავე; და შენელებულ ფორმებში, როდესაც შხამი მოქმედებს თანდათან და ჯანმრთელობის გაუარესებს უწყება არა უცებ, არამედ ორგანიზმში შხამის თანდათან დაგროვების შედეგად.

7.4.2 ჯანმრთელობის თანდათანობით გაუარესებისას (მეორე შემთხვევა) სათანადო დახმარება შეუძლია გაუწიოს ექიმმა, პირველ შემთხვევაში კი აუცილებელია პირველადი დახმარების დაუყოვნებლივი აღმოჩენა.

7.4.3 პირველადი დახმარება დამოკიდებულია მომწამლავი ნივთიერების სახეობაზე, მაგრამ ყველა შემთხვევაში დაზარალებული უნდა გავიყვანოთ სუფთა ჰაერზე და საჭიროების შემთხვევაში ჩავუტაროთ მას ხელოვნური სუნთქვა.

7.4.4 მოწამვლის ნიშნებია:

- ✓ თავის ტკივილი
- ✓ ლებინება
- ✓ ხველა
- ✓ ტკივილი გულ-მკერდის არეში
- ✓ სახის შეწითლება
- ✓ პერიოდული კრუნჩხვები

7.4.5 მძიმე შემთხვევაში, პირველი დახმარებისათვის, დაზარალებული გავიყვანოთ სუფთა ჰაერზე და შევეუდგეთ ხელოვნური სუნთქვის ჩატარებას (ზოგჯერ რამოდენიმე საათი) დამოკიდებული სუნთქვის აღდგენამდე, ან ექიმის მოსვლამდე.

7.5 პირველადი დახმარება დამწვრობისას

განასხვავებენ დამწვრობის 4 ხარისხს, რომლებიც ხასიათდება:

- 1) პირველი ხარისხი - კანის გაწითლება, დამწვარი ზედაპირის პატარა შესივებით და ტკივილით. ამ დროს ზედაპირს უნდა წავუსვათ რომელიმე ცხიმი (ვაზელი და ა.შ.), გავწმინდოთ სპირტის სუსტი ხსნარით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და
სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია

*Regulation of Industrial (labor) Safety,
Accident Prevention (safety measures) and Fire Safety*

- 2) მეორე ხარისხი - დამწვრობის ადგილზე ჩნდება ბუშტულები. მათ გარეშე ზედაპირი უნდა გავწმინდოთ სპირტით, უდეკოლონით (ბუშტულების მოწყვეტა არ შეიძლება, რადგან მათი ტყავი იცავს დაწვარ ზედაპირს). ამის შემდეგ დავადთ სუფტა, მშრალი სახვევი. რეკომენდირებულია დამწვარ ზედაპირზე დაუყონებლივ 15 წითის განმავლობასი წყლის დასხმა.
- 3) მესამე ხარისხი - დამწვრობის ადგილზე მკვდარი ქსოვილები არსებობა. დაზიანებული ნაწილი უნდა გადაიხვიოს არამჭიდროდ, ბინტით ან სხვა მასალით და დაზარალებულ უნდა გადაყვანილ იქნას საავადმყოფოში. მძიმე დამწვრობისას, რომელიც მოიცავს სხეულის მნიშვნელოვან ნაწილს, შეიძლება შეიქმნას მძიმე შოკური მდგომარეობა. ადამიანს შოკის მდგომარეობაში აქვს ფერმკრთალი სახე, ცივი ოფლი, სუსტი პულსი, საერთო სისუსტე.
- 4) მეოთხე ხარისხი - არამართო კანის, არამედ ღრმად მდებარე ქსოვილების დანახშირება.
- 5) ქიმიური დამწვრობის დროს 10-15 წუთის განმავლობაში სხეულის დამწვარი ნაწილი უნდა განვზანოთ წყლით.
- 6) მჟავებით (გარდა გოგირდმჟავისა) დამწვრობისას, წყალში უნდა გაურიოთ სასმელი სოდა (5%-ს სეადგენს 1 ჩაის კოვზი ერთ ჭიქა წყალზე).
- 7) გოგირდმჟავით დამწვრობისას უკეთესია მოვყაროთ სასმელი სოდა ან კრახმალი.
- 8) თვალების დამწვრობისას. თვალები დაუყოვნებლივ უნდა გამოირეცხოს სოდის სუსტი ხსნარით (კოვზის მეოთხედი ჭიქა წყალზე) ბამბის მეშვეობით. ბამბის გამოცვლა აუცილებელია ყოველ 3-5 წუთში, შემდეგ თვალები უნდა შეიხვიოს და ავადმყოფი გაიგზავნოს ექიმთან.
- 9) ტანსაცმლის აალებისას, დაზარალებულს არ უნდა მივცეთ გაქცევის საშუალება (ქარში წვა იმატებს), სასწრაფოდ უნდა შევასხათ ცივი წყალი ან შემოვახვიოთ ქურთუკი, ბრეზენტი, ნაჭერი და ა.შ. დაზარალებული უნდა დაწვეს იატაკზე და იგოროს რათა ჩაქრეს ალი.

7.6 ხელოვნური სუნთქვის მეთოდები

- 1) დაზარალებულს აწვენენ ზურგზე და ბეჭებს ქვემოთ უდებენ დაგორგლილ ტანსაცმელს. წინასწარ უხსნიან საყელს, ქამარს და მოძრაობის ხელისშემშლელ სხვა ტანსაცმელს. საჭიროების შემთხვევაში, დაზარალებულს, ცხვირსახოცის მეშვეობით, პირის ღრუს უწმენდენ ქაფისაგან და სხვა უცხო საგნებისაგან. შემდეგ, დაზარალებულს, მაქსიმალურად გადაუწევენ თავს ისე, რომ კისერი იმყოფებოდეს ერთ დონეზე ნიკაპთან. დახმარების ჩამტარებელი დგება მუხლებზე დაზარალებულისგან მარცხენა მხარეს და ერთი ხელით იკავებს მის თავს, ხოლო მეორე ხელით უწევს ნიკაპს ისე, რომ დაზარალებულის პირი იყოს ნახევრად ღია მდგომარეობაში. დახმარების ჩამტარებელი ღრმად ჩაისუნთქავს და დაზარალებულის პირზე მჭიდროდ მიკვრით (ცხვირსახოცისა ან ქსოვილის ნაჭრის გამოყენებით) უბერავს ჰაერს მის ფილტვებში, შემდეგ უკეთებს გულის არაპირდაპირ მასაჟს. ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ხელებით აწვება გულმკერდის არეში, ნეკნებს შუა, დრეკად ადგილზე შემდეგი ინტენსივობით:
 - ჰაერის ორჯერ ჩაბერვა, შემდეგ ოთხჯერ გულის არაპირდაპირი მასაჟი
- 2) არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხშირ შემთხვევაში დაზარალებულს ენა აქვს ჩაგდებული და საჭიროა შესაბამისი ზომების გატარება.

8. სახანძრო უსაფრთხოების წესები საგანმანათლებლო დაწესებულებაში

- 8.1 საცდელ (ექსპერიმენტულ) დანადგარებზე აფეთქებადსაშიში და ხანძარსაშიში ნივთიერებების და მასალების გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ მათი ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ.
- 8.2 ექსპერიმენტული გამოკვლევების ხელმძღვანელმა (პასუხისმგებელმა, შემსრულებელმა) გამოკვლევების ჩატარების დროს უნდა მიიღოს საჭირო ზომები სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
- 8.3 ადვილალეუბადი და წვადი სითხეების შენახვა ლაბორატორიებსა და სხვა სათავსებში დასაშვებია იმ რაოდენობით, რომელიც არ აღემატება ერთი სამუშაო დღის მოთხოვნებს. სითხეების შემოტანა უნდა განხორციელდეს დახურულ უსაფრთხო ტარით.
- 8.4 დაუშვებელია გამწოვ კარადაში სამუშაოების ჩატარება, თუ მასში მოთავსებულია ნივთიერებები, მასალები და მოწყობილობები, რომლებიც არ მიეკუთვნება შესასრულებელ ოპერაციებს; აგრეთვე თუ კარადა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და
სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია

*Regulation of Industrial (labor) Safety,
Accident Prevention (safety measures) and Fire Safety*

გამოსულია მწყობრიდან და გამორთულია სავენტილაციო სისტემა. მაგიდის კონსტრუქციამ უნდა გამოირიცხოს სითხის იატაკზე დაღვრა.

- 8.5 გამოყენებული ადვილაალებადი და წვადი სითხეები სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ უნდა შეგროვდეს სპეციალურ დახურულ ტარაში და გატანილ იქნას ლაბორატორიიდან. შემდგომი უტილიზაციისათვის. დაუშვებელია ადვილაალებადი და წვადი სითხეების კანალიზაციაში ჩაღვრა.
- 8.6 ჭურჭლი, რომელშიც ჩატარდა სამუშაოები ადვილაალებადი და წვადი სითხეების გამოყენებით, ცდების დამთავრების შემდეგ უნდა გაირეცხოს ხანძარუსაფრთხო ხსნარით.
- 8.7 სასწავლო წლის დაწყების წინ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, აგრეთვე სკოლის გარეშე საგანმანათლებლო და სააღმრწებლო დაწესებულებების შენობები უნდა შემოწმდეს დაწესებულების დირექციის მიერ ამ წესების მოთხოვნათა შესაბამისობაზე. დირექციის მიერ ამ მიზნით შექმნილ კომისიაში შეიძლება მოწვეულ იქნას სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანოს წარმომადგენელი.
- 8.8 საწავლო კლასებსა და კაბინეტებში სასკოლო ინვენტარის (მერხების, მაგიდების და ა.შ.) რიცხვმა არ უნდა გადააჭარბოს დაპროექტების ნორმებით დაგეგმილ რაოდენობას.
- 8.9 სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებისათვის შესაბამისი ორგანიზაციების ადმინისტრაციების მიერ უნდა იყოს ორგანიზებული მეცადინეობები სახანძრო უსაფრთხოების წესების შესაბამისად.
- 8.10 მეცადინეობების დამთავრებისას კაბინეტებში, საკლასო ოთახებში, ლაბორატორიებსა და სახელსნობებში ყველა აფეთქებასაშიში და ხანძარსაშიში ნივთიერება და მასალა უნდა იყოს გატანილი სპეციალურად მოწყობილ სათავსებში.
- 8.11 შპს ბუსსს ანრის სასწავლო კორპუსის ყოველ სართულზე უნდა იყოს გამოკრული ინსტრუქცია სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ, ევაკუაციის გეგმა; განთავსებული ცეცხლსაქრობი საშუალება და მისი გამოყენების წესი.

9. სახანძრო უსაფრთხოების წვრთნები

- 9.1 სასწავლებელში უსაფრთხოების დაცვის გაუმჯობესების მიზნით წელიწადში ორჯერ იგეგმება ხანძარსაწინააღმდეგო წვრთნების (გაუფრთხილებელი განგაში) ჩატარება.
- 9.2 წვრთნების ჩატარებამდე სასწავლებლის თანამშრომლებს, პედაგოგებს, სტუდენტებს უტარდება მომზადება ხანძარსაწინააღმდეგო წვრთნების განსახორციელებლად;
- 9.3 ხანძარსაწინააღმდეგო წვრთნების ჩატარება აღინიშნება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების გეგმა-გრაფიკში, რომელიც შემუშავდება 3 წლით და მტკიცდება გენერალური დირექტორის მიერ.
- 9.4 ვინაიდან ხანძარსაწინააღმდეგო წვრთნები გულისხმობს გაუფრთხილებელ განგაშს, პუნქტი 9.3-ში აღნიშნულ გეგმა-გრაფიკში აღინიშნება წვრთნის არა კონკრეტული თარიღი, არამედ გარკვეული პერიოდი; მაგალითად წელიწადის პირველი 6 თვის განმავლობაში პირველი განგაში და მეორე 6 თვის განმავლობაში - მეორე განგაში.
- 9.5 ხანძარსაწინააღმდეგო წვრთნების ჩატარება აღინიშნება გეგმა-გრაფიკში, ხანძარსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის სამსახურში ანგარიშის წარდგენის საფუძველზე.
- 9.6 ხანძარსაწინააღმდეგო წვრთნების ჩატარება ასევე აღინიშნება ჟურნალში „პედაგოგიური პერსონალისთვის და თანამშრომლებისთვის განკუთვნილ შემოწმებებზე, მომზადება/გადაამზადებებზე, სემინარებზე, ღია ლექციებზე, ტექ.სწავლებლებზე და ა.შ. დასწრების აღრიცხვის ჟურნალი“

9.7 ხანძარსაწინააღმდეგო თავდაცვა და მისი წესები

- 1) შპს ბუსსს ანრის ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას წარმოადგენს ხანძართან ბრძოლა.
- 2) ყველა სასწავლებელში ხანძარსაწინააღმდეგო თავდაცვის ორგანიზაცია ხდება მთელი პირადი შემადგენლობის (თანამშრომლები, პედაგოგები, სტუდენტები) ჩართულობით, განაწილების საფუძველზე. სასწავლებლის თანამშრომლებმა და მსმენელებმა უნდა იცოდეს როგორ გამოიყურება ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, სად არის ისინი განლაგებული, რას წარმოადგენენ; მათი მოკლე მონაცემები და გამოყენების წესები. ყველამ ზუსდა და სწორად უნდა შეასრულოს ის ინსტრუქციები, რაც ეხება ცეცხლის ჩაქრობას, ხალხის უსაფრთხო ადგილას ევაკუაციას და ქონების გადარჩენას.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და
სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია

Regulation of Industrial (labor) Safety,
Accident Prevention (safety measures) and Fire Safety

- 3) სასწავლებელში უნდა შეიქმნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა და მას სათაბეში უნდა ჩაუდგეს სამეურნეო დარგის მენეჯერი, შემდგომში ხანძარსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელმძღვანელი.
- 4) სასწავლებლის შენობის ყველა სართულზე უნდა დაინიშნოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი თანაშემწე. თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე სასწავლებელში უნდა შეიქმნას სამაშველო ჯგუფები, რომლებიც გაყოფილი იქნება სამ ცვლად (დილის ც ვლა, შუადღის და ღამის). სამაშველო ჯგუფებში გაერთიანებული იქნება კურსანტები – 4-7 კაცის შემადგენლობით; ღამის ცვლა შედგება იმ კურსანტებისგან, რომლებიც ცხოვრობენ სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში (მე-6 სართულზე).
- 5) სასწავლებლის ქონება, ყოველ სართულზე, ყველა აუდიტორიაში, ყველა სამუშაო კაბინეტში, ოთახში, ლაბორატორიულ ბაზაზე, რომელიც შემდგომში წარმოადგენს სასწავლებლის სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებლობას, უნდა იყოს დანომრილი და ეკეთოს „ბირკა“:
 - „გაიტანეთ პირველ რიგში“, პასუხისმგებელი (სახელი, გვარი)
 - „გაიტანეთ მეორე რიგში“, პასუხისმგებელი (სახელი, გვარი)სასწავლებლის პერსონალმა უნდა იცოდეს შემდეგი ინსტრუქციები:
 - სასწავლებელში ხანძართან ბრძოლის ინსტრუქცია
 - სასწავლებელში ხანძრის შემთხვევაში ევაკუაციის ინსტრუქცია-გეგმა
 - სასწავლებელში ხანძრის შემთხვევაში პირადი შემადგენლობის სამაშველო ჯგუფების მოქმედების ინსტრუქცია
 - სასწავლებელში ხანძრის შემთხვევაში მორიგის მოქმედების ინსტრუქცია
- 6) აუცილებლობის შემთხვევაში სასწავლებლის ტერიტორიაზე დაკომპლექტდეს ხანძარსაწინააღმდეგო ფარები, რომლებიც საჭიროა ცეცხლთან ბრძოლის დროს.
- 7) სასწავლებლის გენერალური დირექტორის მიერ უნდა დამტკიცდეს „ტიპური საწვრთნელი გეგმა“:

- პირადი შემადგენლობის მოქმედება ხანძრის განგაშზე

- 9.8 შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ უნდა დამტკიცდეს ბრძანება „სასწავლებელში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების შესახებ“.
- 9.9 გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ტიპური საწვრთნელი გეგმის მიხედვით უნდა ჩატარდეს წვრთნები, რომლის დასრულების შემდეგ მოხდება გარჩევა, აღინიშნება დარღვევები, არასწორი მოქმედებები. გარჩევის შედეგები უნდა აისახოს ტიპური საწვრთნელი გეგმის ბოლო გვერდზე: „წვრთნების გარჩევა“.
- 9.10 სასწავლებლის პედაგოგებს მოეთხოვება მსმენელების ჯგუფებს დაუთმონ გარკვეული დრო, რომ გააცნონ ხანძრის განგაშის გამოცხადების შემთხვევაში მოქმედებები (მათი ევაკუაციის შესახებ და ავტოტრანსპორტის გადაადგილების, გაყვანის შესახებ).
- 9.11 ხანძარსაწინააღმდეგო დოკუმენტაციის ეფემპლიარები შეინახება:
 - ხარისხის მართვის და უზრუნველყოფის სამსახურში
 - ხანძარსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელმძღვანელთან
 - შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილებაში, ე.წ. საკონტროლო – გამშვებ პუნქტზე
- 9.12 საკონტროლო-გამშვები პუნქტის მორიგის ინსტრუქცია სასწავლებელში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების შესახებ

1) დღის განმავლობაში

- სასწავლებელში სახანძრო განგაშის გამოცხადების თანავე საკონტროლო-გამშვები პუნქტის მორიგე აღინიშნავს დროს მორიგის მიღება-ჩაბარების წიგნში;
- არეგულირებს სასწავლებლის და მის ახლო-მახლო ტერიტორიებიდან ავტოტრანსპორტის გაყვანას, რომ ხელი არ შეემალოს სასწავლებელში მოსულ სახანძრო და სამედიცინო დახმარების მანქანებს;
- მეთვალყურეობს და აუცილებლობის შემთხვევაში არეგულირებს სამაშველო-სახანძრო ჯგუფების მიერ ევაკუაციის დროს სასწავლებლიდან გამოტანილ ქონებას, მიუთითებს უსაფრთხო ადგილს;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და
სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია

*Regulation of Industrial (labor) Safety,
Accident Prevention (safety measures) and Fire Safety*

- აკონტროლებს სასწავლებელში მყოფი სტუმრების უსაფრთხო ადგილას გადასვლას;
- მორიგის მიღება-ჩაბარების წიგნში აღნიშნავს სართულების გასაღებების გაცემას;
- სასწავლებლის ელექტრიკოსთან ერთად მეთვალყურეობს მეორე კორპუსში ან დამხმარე სათავსოებში არ მოხდეს ცეცხლის ახალი კერის აღმოცენება. სამიშროების შემტხვევაში ახსენებს სასწავლებლის ხანძარსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელმძღვანელს;
- საკონტროლო-გამშვები პუნქტის მორიგესთან ერთად უწევს დახვედრას სასწავლებელში მოსულ სახანძრო და სამედიცინო დახმარების მანქანებს; აცილებს ტერიტორიაზე და აკავშირებს სასწავლებლის ხანძარსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელმძღვანელობასთან (შტაბთან);
- სასწავლებელში ხანძრის ლიკვიდაციისა და წვრთნების დასრულების შემდეგ, აწესრიგებენ სასწავლებლის და მიმდებარე ტერიტორიას;
- მორიგის მიღება-ჩაბარების წიგნში აღნიშნავს სახანძრო განგაშის დასრულების დროს

2) ღამის განმავლობაში

- სასწავლებლის საკონტროლო-გამშვები პუნქტის მორიგე მჭიდრო კავშირშია საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ კურსანტებთან და სამაშველო-სახანძრო ჯგუფებთან;
- სასწავლებლის შენობაში ცეცხლის აღმოჩენის შემთხვევაში სასწრაფოდ აცნობებს სასწავლებლის გენერალურ დირექტორს და 112-ს; აფიქსირებს დროს;
- უცხადებს განგაშს და აღვიძებს სასწავლებლის საცხოვრებელში მცხოვრებ სტუდენტებს;
- რწმუნდება, რომ ლიფტში არავინ არის და თიშავს მას;
- აღებს სასწავლებლის ტერიტორიაზე შემოსასვლელ ჭიშკრებს;
- უწევს შეხვედრას სასწავლებელში მოსულ ხელმძღვანელობას, სახანძრო და სამედიცინო დახმარების მანქანებს; მოუთითებს ხანძრის კერის კენ და აცნობებს მათ ფაქტიურ ინფორმაციას;
- სასწავლებელში ხანძრის ლიკვიდაციის შემდეგ, მორიგის მიღება-ჩაბარების წიგნში აღნიშნავს სახანძრო განგაშის დასრულების დროს.
- რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად სამაშველო-სახანძრო ჯგუფი მორიგესთან ერთად იწყებს სასწავლებლის დოკუმენტაციისა და ქონების ევაკუაციას უსაფრთხო ადგილას;
- საკონტროლო-გამშვები პუნქტის მორიგე სასწავლებლის გენერალური დირექტორის განკარგულებით ახორციელებს სასწავლებლის პერსონალის გამოძახებას


10. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა

სასწავლებელში უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვის მიზნით გენერალური დირექტორის განკარგულებით ინიშნება ხანძარსაწინააღმდეგო თავდაცვის და/ან უსაფრთხოების ხელმძღვანელი, რომლის თანამდებობრივი ინსტრუქცია გაიწერება ფუნქციონალურ მოვალეობაში.

11. კონფიდენციალურობა

არსებული პროცედურა წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და
 სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია

*Regulation of Industrial (labor) Safety,
 Accident Prevention (safety measures) and Fire Safety*

14. პერონალის ინსტრუქციასთან გაცნობის ფურცელი

№	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	გურამ ქათამაძე	სასწავლო განყოფილების უფროსი	05.04.2018		
2	მზია დუმბაძე	კადრების ინსპექტორი	05.04.2018		
3	ნუნუ მიქელაძე	სასწავლო განყოფილების საქმისმწარმოებელი	05.04.2018		
4	მალვინა ურუშაძე	ბიბლიოთეკის გამგე	05.04.2018		
5	ხატია მენაბდე	წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი	05.04.2018		
6	ბადრი დოლონაძე	შინაგანწესისა და ვახტის უზრუნველყოფის უფროსი	05.04.2018		
7	თამთა ჩხეიძე	საქმისწარმოების, მიმოწერისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	05.04.2018		
8	თემურ დევაძე	ს/გ „ო.ჩახვამე“-ის კაპიტანი	05.04.2018		
9	ბადრი გიორგაძე	ს/გ „ო.ჩახვამე“-ის უფროსი მექანიკოსი	05.04.2018		
10	ჟუჟუნა დიასამიძე	ბიბლიოთეკარი	05.04.2018		
11	ლია ფარტენაძე	სტაჯორი	05.04.2018		
12	ნოდარ აბუსელიძე	პედაგოგი	05.04.2018		
13	ვახტანგ რამიშვილი	პედაგოგი	05.04.2018		
14	ლავრენტი სეიდიშვილი	პედაგოგი	05.04.2018		
15	ლევან გამყრელიძე	პედაგოგი	05.04.2018		
16	აკაკი ესანჯია	პედაგოგი	05.04.2018		
17	ასამბაძე დარეჯანი	პედაგოგი	05.04.2018		
18	ბერიძე რეზო	პედაგოგი	05.04.2018		
19	ბადრი ბერიძე	პედაგოგი	05.04.2018		
20	გუჩმანიძე თამარი	პედაგოგი	05.04.2018		
21	ხაიდაროვა ნატალია	პედაგოგი	05.04.2018		
22	კაპანაძე გოჩა	პედაგოგი	05.04.2018		
23	ფუტყარაძე ამირანი	პედაგოგი	05.04.2018		
24	ცეცხლაძე ავთანდილ	პედაგოგი	05.04.2018		
25	ულრელიძე გიორგი	პედაგოგი	05.04.2018		

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და
 სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია

*Regulation of Industrial (labor) Safety,
 Accident Prevention (safety measures) and Fire Safety*

26	შანიძე ანდრო	პედაგოგი	05.04.2018		
27	შარაშიძე ანზორი	პედაგოგი	05.04.2018		
28	აბუსელიძე ფადიკო	პედაგოგი	05.04.2018		
29	ჰაიდაროვი გენადი	პედაგოგი	05.04.2018		
30	მიხეილ ზოიძე	პედაგოგი	05.04.2018		
31	ბოლქვაძე თამაზ	პედაგოგი	05.04.2018		
32	ვარშანიძე ფირუზა	პედაგოგი	05.04.2018		
33	ფუტყარაძე ამირან	პედაგოგი	05.04.2018		
34	ველიაძე გურამ	პედაგოგი	05.04.2018		
35	დუმბაძე ნათელა	პედაგოგი	05.04.2018		
36	დიასამიძე თეა	პედაგოგი	05.04.2018		
37	ფუტყარაძე აკაკი	დაცვა	05.04.2018		
38	ირემაძე ნოდარი	დაცვა	05.04.2018		
39	ქედელიძე ნუგზარ	დაცვა	05.04.2018		
40	ინგა ბერიძე	დამლაგებელი	05.04.2018		
41	ნათელა გოგიტიძე	დამლაგებელი	05.04.2018		
42	გულიკო მიქელაძე	დამლაგებელი	05.04.2018		
43					
44					
45					
46					
47					
48					
49					
50					
51					
52					
53					
54					

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და
სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია

*Regulation of Industrial (labor) Safety,
Accident Prevention (safety measures) and Fire Safety*

55					
56					
57					
58					
59					
60					
61					
62					
63					
64					
65					
66					
67					
68					
69					
70					
71					
72					
73					
74					
75					
76					
77					
78					
79					
80					
81					
82					
83					

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**



*შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და
სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია*

*Regulation of Industrial (labor) Safety,
Accident Prevention (safety measures) and Fire Safety*

15. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირების დანიშვნა

1.1 შეთანხმებული დოკუმენტის დასახელება, №

*შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და
სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია*

*Regulation of Industrial (labor) Safety,
Accident Prevention (safety measures) and Fire Safety*

ნდ N-2-0401-03

1.2 დებულების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:

შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ბადრი დოლონაძე

1.3 შემსრულებელი _____ \ _____ \

ნაწილი 2.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

№	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების დრო	შენიშვნა
1	ადმინისტრაციის უფროსი რუსლან დიასამიძე				
2	ხარისხის მართვის სისტემის მენეჯერი რუსუდან დიასამიძე				
3	სამეურნეო დარგის მენეჯერი ირაკლი გოგიტიძე				
4	ექიმი, პედაგოგი თეიმურაზ დიასამიძე				

დოკუმენტი შესათანხმებლად გააგზავნა _____
ხელმოწერა
გვარი, სახელი
თარიღი